ქ. წალენჯიხა

15 თებერვალი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის ოქმი

2022 წლის 15 თებერვალს, 12 საათზე გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, გელა აბულაძე, ავთანდილ გაბელია, ომარ ქარდავა, ბესიკ ფარცვანია; მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია; მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია; ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია; მერის წარმომადგენელი ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ხარჩილავა.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

   მომხსენებელი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2.გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, ქ. წალენჯიხის მაიაკოვსკის ქუჩისთვის ვალერი ჭანტურიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე;

   მომხსენებელი:ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური ქუჩისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე;

   მომხსენებელი: ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4.ქ.ჯვარის სოხუმის ქუჩის N1-ში მდებარე სამსართულიან კორპუსში მცხოვრებთა განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი:ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.ქ.ჯვარის კოსტავას ქუჩის N2-ში და რუსთაველის ქ. N12-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი:ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 26 მაისის დასახლების მცხოვრებთა ერთობლივი განცხადების თაობაზე

მომხსენებელი:ომარ ქარდავა, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7.სხვადასხვა

სხდომის დაწყების დრო:12:00

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან, გეოგრაფიულ ობიექტს სახელი ენიჭება პირის გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლის შემდგომ გამონაკლისის დაშვების, ქ. წალენჯიხის მაიაკოვსკის ქუჩისთვის ვალერი ჭანტურიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე და

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური ქუჩისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე, კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავამ. ამ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები არ ქონიათ და მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ასევე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე განხილული იქნა სამი კოლექტიური განცხადება, რომელიც დათვალიერებული და შესწავლილია ამავე კომისიის თავმჯდომარის ომარ ქარდავას და მერის წარმომადგენელი ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ხარჩილავას მიერ.

ამ საკითხებთან დაკავშირებით დავით ბელქანიამ განაცხადა, რომ ამ პრობლემების მოგვარება ბიუჯეტის განხილვის დროს იყო წამოყენებული და მერიამ დადო პირობა რომ გათვალისწინებული იქნებოდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის სახით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ ამ განცხადებების აღმასრულებელი ორგანოსთვის გადაცემასა და ეტაპობრივად ამ პრობლემების მოგვარებაზე ისაუბრა.

ამით საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 12^{30} სთ-ზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე /ომარ ქარდავა/